

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური)

საფინანსო სერვისები



- ✚ **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services
განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“ (კოდი 0412).
- ✚ **მიზანი** - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალს, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.
- ✚ **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები** - საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- ✚ **მოცულობა:** 66 კრედიტი
- ✚ **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 12 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- ✚ **მოცულობა:** 51 კრედიტი
- ✚ **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 9 სასწავლო თვე

✚ **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**

✚ საფინანსო სერვისებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

✚ **მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები**

პირს შეუძლია:

აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებში;

განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები;

შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები;

ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.